20410484

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

განკარგულება

2017 წლის 17 ოქტომბერი № 114

თბილისი

სს „ნიკორა ტრეიდის“ (ს/კ: 206255808) აქციების ემისიის საბოლოო პროსპექტის დამტკიცებისა და ფასიანი ქაღალდებისათვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე–15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 52–ე მუხლის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტების, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–4 მუხლის მე–11 და მე-15 პუნქტების, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 7 სექტემბრის N73/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფასიანი ქაღალდების საიდენტიფიკაციო ნომრის მოთხოვნის, მინიჭების, ემისიის დამტკიცებული პროსპექტის და საჯარო შეთავაზების თაობაზე შეტყობინების რეგისტრაციის წესის“ მე–3 მუხლის მე–3 პუნქტის, მე–4 მუხლის მე–7 პუნქტის, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის N153/04 ბრძანების საფუძველზე:

1. დამტკიცდეს სს „ნიკორა ტრეიდის“ აქციების ემისიის საბოლოო პროსპექტი.

2. დამტკიცებული ემისიის საბოლოო პროსპექტის რეგისტრაცია განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. სს „ნიკორა ტრეიდის“ ახლად ემიტირებულ ფასიან ქაღალდებს მიენიჭოს საიდენტიფიკაციო ნომერი GE 1100003551.

4. წინამდებარე განკარგულების გამოცემიდან 3 დღის ვადაში ეცნობოს სს „ნიკორა ტრეიდის“ ახლად ემიტირებული ფასიანი ქაღალდებისთავის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების თაობაზე.

5. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი №6) მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ეს განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის გაცნობისთანავე.

პრეზიდენტის მოვალეობის
შემსრულებელი

მურთაზ კიკორია